ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2662479

ნომერი: AR1410120

თარიღი : 02.06.2016

გაცემის თარიღი : 21.06.2016

გაცნობის თარიღი : 09.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოგებაშვილი , N 48 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო თოიძე პ/ნ 01017017727
- თბილისი ი.გოგებაშვილის ქ. N 50ა

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1410120 ლექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #01.15.02.052.009 საკადასტრო ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენებას და ითხოვთ ნებართვის გაუქმებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 13 ივნისის AR1412314 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ლევანი ჟღენტმა და მოითხოვა ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქუჩა N48-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის ნებართვა. ატვირთული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

თქვენი განაცხადი სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქალაქი თბილისში, გოგებაშვილის ქუჩა N48-ში მდებარე ტერიტორიაზე, სამსახურის 2016 წლის 11 მაისის №2566794 ბრძანებით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

სამსახურის მიერ №2566794 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით ინტერაქტიული რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge